მეუნიგრეგების ორგანიზაციამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანათა შორის ეკონომიურ დარგში.

ვ. ი. ლენინი.

ლითონის, მასალების ეკონომიისათვის!

თითრწყაროელთა თაოსნობაა მეცხოველეობის პროდუქტების პირველი კვარტალის გეგმა—ვადამდე!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 22 (13416) | ხუთშაბათი, 27 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.



ნელს ყოველი თვის საწარმოო გეგმა 25 რიცხვისათვის შეასრულოთ, მომხმარებელს თვეში დამატებით გაგუგზავნოთ 3 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი — ასეთი ვალდებულებით დადგა წინასაყრილობო შრომის № 2 ბრიგადა, რომელსაც რ. გობრონიძე უძღვება. ბრიგადის წევრები მონდომებით შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. მოპოვებულია პირველი წარმატება.

საქსოვ საამქროში შეაჯამეს 15 დღის შედეგები. რ. გობრონიძის მქსოველთა ბრიგადის ანგარიშზე უკვე აღირიცხა 500 მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი. სურათზე (მარცხნიდან): მქსოველთა კომუნისტური შრომის № 2 ბრიგადის თავკაცი რ. გობრონიძე, მქსოველები ბ. დანგიაშვილი და ე. გელაშვილი.

შარშან თბილისის 39-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჟუჟუნა მენაბდე საშუშაოდ თბილისის „ელექტროაგტომატში" მოვიდა. მალე დაეუფლა ზეინკლის პროფესიას და მოწინავე ზეინკალთა რიგებში ჩადგა.

ამწყობი საამქროს იმ კონვეიერმა, რომელსაც იგი უწევს მომსახურებას, ახალი ხუთწლედის პირველი თვის 20 დღის საწარმოო დავალება გადაჭარბებით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 70 ავტომატი გამოუშვა. საამქროს კოლექტივი დადგა წინასაყრილობო ვალტზე და იკისრა წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვას 700 ავტომატი. ამ ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში თავისი შრომითი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა ამწყობ-ზეინკალ გოგონას ჟუჟუნა მენაბდეს. სურათზე: ქვემოთ — ჟუჟუნა მენაბდე.

ტექსტი და ფოტო გ. გოგოხიასი.

სპეციალისტის მაღალი მოვალეობა

ამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა დაჯილდოდა ლენინის ორდენით, ეს მეორე ლენინის ორდენია მის დროშაზე.

საქართველოს მშრომელთა ეს გამარჯვება ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ერთობლივი შრომით იქნედებოდა.

ამ გამარჯვებაში — კერძოდ სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში მოპოვებულ წარმატებებში სერიოზული წვლილი მიუძღვით სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს. საკოლმეურნეო სოფლში მუშაობს დიპლომიან აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა, ინჟინერთა, მექანიზატორთა მრავალათასიანი არმია. ახლა არ არის ისეთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც არა ჰყავდეს თავისი მეთაური — მემინდვრეობის, მეცხოველეობის საქმის. მცოდნე ადამიანი, რომელიც კარგად იყენებს მძლავრ ტექნიკას. თუ არა ამ კვალიფიციურმა კადრებმა, ვინ უნდა გადაჭრას წარმოების საარსებო საკითხები. უნარიანად გამოიყენოს მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის უახლესი მიღწევები.

სახელმწიფო, როგორც ცნობილია, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს აძლევს მზა პროდუქციის გაყიდვის გეგმას. ხოლო რა კულტურას მისცენ უპირატესობა, რამდენი დათესონ ესა თუ ის კულტურა, რა ჯიში გამოიყენონ, — ეს თვით კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა საქმეა, თუ აგრონომმა არა, ვინ უნდა თქვას აქ თავისი გადამწყვეტი სიტყვა. აგრონომებმა, ზოოტექნიკოსებმა, ინჟინრებმა, მექანიზატორებმა, მრეწველობის სპეციალისტთა მსგავსად, უნდა შეიმუშაონ რთული წარმოების ტექნოლოგია, გამოძებნონ მის შესაძლებლობათა გონივრულად გამოყენების გზები, რათა მიიღონ რაც შეიძლება მეტი ეკონომიური სარგებლობა. მეტი პროდუქტები ნაკლები ხარჯით.

აგრონომი მოსავლის შემოქმედია, გამარჯვებელია ახალი აგრობიოლოგიური მეცნიერებისა, რომელიც ვითარდება პრაქტიკასთან მჭიდრო ერთიანობით. სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა პირობებზე. ეს არის მეურნეობის ზონალური თავისებურებებიც, მიწის დამუშავების ხარისხიც, თესვის დროც, ბევრი სხვა რამეც. მაგრამ რა ღრმადაც უნდა შევისწავლოთ ეს წესები, არ შეიძლება მათი შაბლონურად გამოყენება. საერთო რეცეპტი ყველა მეურნეობისათვის არ არის და არც შეიძლება იყოს.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, აგრონომი არ უნდა ელოდებოდეს მოწყალებას ბუნებისაგან. იგი უნდა აღწევდეს მას დაძაბული შრომით, განუწყვეტელი შემოქმედებითი ძიებით, იმით, რომ მუდამ ჰქონდეს ურთიერთობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორებთან. მხოლოდ ის არის კარგი სპეციალისტი, ვინც პრაქტიკოსების მხარდამხარ დაუცხრომლად ეძებს და პოულობს შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის მოსავლიანობის ზრდის, თვითღირებულების შემცირების ახალ რეზერვებს.

საგულისხმო მაგალითს გვიჩვენებს ამ მხრივ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ არჩევნიშვილი. როცა მშობლიურმა პარტიამ მოუწოდა სპეციალისტებს წასულიყვნენ სამუშაოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, არჩევნიშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ მოწოდებას. იგი დანიშნეს ჩუმლაყის კოლმეურნეობაში. ახალი აგრონომი მისვლისთანავე ბეჯითად ნერგავდა აგროტექნიკის პროგრესულ ხერხებს. შეცვალა მინდვრის კულტურების ჯიშები. გაადიდა თესვის ნორმები, გამსაკუთრებული უურადღება მიაქცია ვენახის სიმეჩხერეს და მისი მოვლის წესებს. ჩუმლაყის კოლმეურნეობამ მალე არა მარტო გურჯაანის რაიონში, არამედ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი. შარშან ჰექტარზე საშუალოდ

ჩვენი წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდებისათვის

როგორი უნდა იყოს საკოლმეურნეო წესდება?

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი. ამ წლების განმავლობაში სოფლად დიდი ძვრები მოხდა. ცხადია, წესდებაში ბევრი რამ მოძველდა. ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა საკოლმეურნეო წესდების გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ მიიჩნია შემუშავდეს ახალი წესდება.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შემუშავებას და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისათვის მომზადებას, რომელიც 1966 წელს გაიმართება, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გამო და შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდება.

როგორ და რა მიმართულებით უნდა გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო წესდება? ამ მეტად მნიშვნელოვან კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გავითვალისწინებთ ყოველივე ამ დადებითს, რაც საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკით დაგროვდა.

ამ მიზნით „კომუნისტის" რედაქცია გაზეთის ფურცლებზე იწყებს საკითხის განხილვას, თუ როგორი უნდა იყოს საკოლმეურნეო წესდება. დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხის განხილვაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები.

დღეს განხილვის წესით ვბეჭდავთ მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შემუშავებელი კომისიის წევრის მიხაკო ორაბგველიძის წერილს.

რედაქცია, გთხოვთ მიიღოთ აქტიური მონაწილეობა ამ საკითხის განხილვაში, მოგვწეროთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საკოლმეურნეო წესდება.

მიწათსარგებლობა და კოლმეურნეთა უფლება-მოვალეობანი

მ. ორაბგველიძე,
მახარაძის რაიონის შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საქართველოს დასავლეთ ნაწილში, აჭარა-გურიის ქედის ფერდობებზე გადაშლილია სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის სპპ-ის ნიშნის ორდენოსანი კოლმეურნეობის ბარაქით სავსე მიწები.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მიქელგაბრიელი, დღევანდელი შრომა, გურიის ღატაკი, სამეურნეო თვალსაზრისით ყველაზე ჩამორჩენილი სოფელი იყო.

რევოლუციამ ჩვენი ქვეყნიდან განდევნა მემამულეები და გაათავისუფლა გლეხობა მემამულეთა და კულაკთა უღლისაგან. დეკრეტი მიწის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტი იყო, რაც მიღებულ იქნა 1917 წლის 26 ოქტომბერს, რითაც მიწა იქცა საყოველთაო-სახალხო საკუთრებად. თავისი დღენი მიწისათვის მტირალ გლეხობას მიეცა კულაკებისათვის ჩამორთმეული მიწები, რამაც განაპირობა ის, რომ გლეხობას დაეწყო ახალი ცხოვრება, დასდგომოდა ახალ გზას, კომუნისტური პარტიის მიერ ნაჩვენებ საკოლმეურნეო გზას.

სამი ათეული წელი მისრულდება, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვმუშაობ. თუ ათასჯერ გამიმეორებია, ბევრი, ასე ვთქვათ, ჩავარდნითაც მტკენია გული. იოლი როდია მართო კოლმეურნეობა, სადაც ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორად შეხამება.

საკოლმეურნეო ცხოვრება, მისი ავ-კარგი ყველაზე უკეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა იციან. ამ გამოცდილებათა გათვალისწინებით მინდა დავაყენო რამდენიმე წინადადება, რომლებიც მოტანილია ცხოვრების სიღრმიდან, საკოლმეურნეო საქმიანობის ათეული წლების გამოცდილებიდან.

საკითხი მიწის შესახებ

„დეკრეტი მიწის შესახებ" საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტი იყო, რომლის წყალობით გლეხობამ რევოლუციისაგან მიიღო 150 მილიონ დესეტინაზე მეტი მიწა, რამაც შესაძლებელი გახადა მიწათმოქმედებაში მსხვილი სოციალისტური მეურნეობის ჩამოყალიბება და მისი წარმატებით განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო.

მიწათსარგებლობაში სწორი წესრიგის დამყარებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს დღესაც სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რადგან იგი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის საფუძველთა საფუძველია.

1935 წელს სახელმწიფოსაგან მიწების კოლმეურნეობებისათვის გადაცემის დროს, რაც დაკანონდა სახელმწიფო აქტით, მხედველობაში არ იყო მიღებული ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხი. ბუნებრივ, იოლად დასადგენ საზღვრებზე დაყრდნობით ზოგ კოლმეურნეობებს აკუთვნებდნენ მიწის ისეთ დიდ ფართობს, რომლის დამუშავება და ათვისება მათ არ შეეძლოთ, მაშინ როცა შედარებით ძლიერი კოლმეურნეობები მცირე მიწებზე რჩებოდნენ.

კოლმეურნეობათა საჭიროების მხედველობაში მიუღებლად სახელმწიფო აქტით მიწების გადაცემამ გამოიწვია ის, რომ ზოგმა კოლმეურნეობამ, რომელიც ვერ მოერია დიდ მინდვრებს, ხელი შეუშვა მის გამოყენებას და ათასობით ჰექტარი მიწა ბარდ-ეკალმა დაფარა, დაჭაობდა, რითაც დაირღვა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ის მუხლი, სადაც წერია: არტელი ვალდებულია გაადიდოს ნათესი ფართობები მის განკარგულებაში არსებული მთლიანი მიწის გამოყენებით. არიან კოლმეურნეობები, რომლებსაც არ ჰყოფნით ფართობები. შეუძლიათ გაცილებით მეტი თესონ, მეტი აწარმოონ, მრავალწლიანი ნარგავები გააშენონ, მაგრამ არა აქვთ მიწები.

კოლმეურნეობების მიწათსარგებლობის საქმეში, ასევე კოლმეურნეობათა შიდამიწათმოწყობის საქმეში გვაქვს შეუსაბამობა, არევ-დარევა, არაკანონზომიერება, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს და ისე იქნას დადგენილი საკოლმეურნეო ახალი წესდება, რომ მან სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის წინსვლას.

საჭიროდ მიგვაჩნია ახალი წესდების იმ თავში, რომელიც მოიცავს საკითხებს კოლმეურნეობის მიწათსარგებლობის შესახებ, შეტანილ იქნას:

ა) კოლმეურნეობამ არ უნდა დაუშვას ვარგისი მიწების დაუმუშავებლად მხტოვების მცირე შემთხვევაც კი.

რაისაბჭოს აღმასკომს უფლება აქვს, რომ იმ კოლმეურნეობას, რომელიც დაუმუშავებლად მიატოვებს საკარგულებს. არ ითვისებს მათ როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი კულტურების თესვისა და გაშენებისათვის, ჩამოაჭრას ასეთი აუთვისებელი მიწები, შეასწოროს მიწათსარგებლობის აქტი და გადასცეს ეს მიწები იმ კოლმეურნეობას, რომელიც შეძლებს დაამუშაოს, ქვეყნის სამსახურში ჩააყენოს ისინი.

ბ) უფლება დაეტოვოთ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომ იმ რაიონებს, რომლებიც ვერ ითვისებენ მიწებს და გამოუყენებელი რჩებათ, ჩამოართვან ასეთი ფართობები და გადასცენ იმ რაიონებს, რომლებიც განიცდიან მიწის სიმცირეს და შეუძლიათ მისი ათვისება-გამოყენება.

გ) კოლმეურნეობამ რომ აითვისოს სახელმწიფოს მიერ მისთვის მუდმივ სარგებლობაში გადაცემული მიწები, გააკულტუროს ისინი, მოაწყოს. ამოძირკვა, ამოშრობა, მორწყვა, ყოველი ჰექტარი, მეკრორაიონი ჩააყენოს ქვეყნის სამსახურში, ამისათვის ახალი წესდებით შემოღებულ იქნას სახელმწიფო შესყიდვის გეგმები როგორც მარცვლეულის, ისე მეცხოველეობის პროდუქტებისა კოლმეურნეობაში არსებული მიწის ყველა ჰექტარზე, ათვისებულია იგი თუ აუთვისებელი.

დ) შეცვლილ იქნას საშემოსავლო გადასახადის განგარიშების წესი, რომელიც პირდაპირ დამოკიდებულია მხოლოდ საკოლმეურნეო ფულად შემოსავალზე. საშემოსავლო გადასახადი კოლმეურნეობაში დაწესდეს მიწის რაოდენობის მიხედვით, იმ მიწისა, რომელიც კოლმეურნეობას უვადო სარგებლობაში აქვს გადაცემული. ამ ფართობს უნდა გამოაკლდეს საკარმიდამო მიწების ფონდი.

შენიშვნა: მიწაზე როგორც სახელმწიფო შესყიდვის, ისე საშემოსავლო გადასახადის შემოღება იმით არის კარგი, რომ კოლმეურნეობა შეეცდება მასზე გადაცემული მიწის ყველა ნაკვეთი საკარგულად გახადოს და მოსავლის სამსახურში ჩააყენოს. ჩვენ ვიცით, რომ ის, ვინც მიწისათვის არაფერს არ იხდის, იგი ამაზე არც ფიქრობს.

ყოველივე ზემოთქმული დიდად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობათა შორის მიწათმოწყობას, არსებული სავარგულების მოსავლიანობის სამსახურში ჩაყენებას, მიწის რეზერვების გამოვლინებას, მის ამოშრობას, ამოძირკვას, საერთოდ კი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას.

შემდეგი საკითხი: კოლმეურნეობის შიგნით როგორ გამოვიყენოთ საკარმიდამო მიწის ფონდი? არის თუ არა საჭირო და სასარგებლო, რომ კოლმეურნეს ჰქონდეს საკარმიდამო ნაკვეთი? რა ოდენობისა უნდა იყოს იგი და როგორ განაწილდეს კოლმეურნეებზე?

ყველა კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს საკარმიდამო მიწების ფონდი. კოლმეურნისათვის აუცილებელია საკარმიდამო ნაკვეთი, რითაც ის შექმნის შემოსავლის დამატებით წყაროს.

მე ვერ წარმომიდგენია სოფელში იყო, კოლმეურნე იყო და არ გქონდეს საკარმიდამო ნაკვეთი, რომლის შუა ადგილას ჩადგმული გექნება კოხტა საცხოვრებელი სახლი, მის ირგვლივ კი ხეხილის ბაღი და ბოსტანი. ვისაც კარგად მოწყობილი საკარმიდამო აქვს, კოლმეურნეობაშიც უფრო ხალისიანად და კარგად მუშაობს, ხოლო ვინც თავის საკარმიდამოს ყურადღებას არ აქცევს-და გაბერანებული აქვს, კოლმეურნეობაშიც ზარმაცი და უქნარაა.

როცა საუბარი მქონდა ჩვენს კოლმეურნეებთან საკარმიდამო ფართობის საჭიროებისა და მისი ოდენობის შესახებ, შევთანხმდით და მოვითხოვთ შეტანილ იქნას ახალ წესდებაში:

საკარმიდამო მიწის მიცემის დროს მხედველობაში მიღებულ იქნას კოლმეურნეთა ოჯახების შრომითი მონაწილეობა საკოლმეურნეო საქმიანობაში, რის საფუძველზეც დაწესდეს საკარმიდამო ნაკვეთების კოლმეურნეთა ოჯახებისათვის დროებით მიცემის შემდეგი ნორმები:

კოლმეურნის ოჯახს კოლმეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მიხედვით მიეცეს ოდენი 0,25 ჰექტარი საკარმიდამო ფართობი. რამდენი მუშახელიც მუშაობს კოლმეურნეობაში, კოლმეურნეობის წევრებად ითვლებიან დაწესებულ მინიმუმს გამოიმუშავებენ, მიეცეს 0,25 ჰექტარი საკარმიდამო თვითეულს.

ოჯახს, რომელსაც ჰყავს ძველი კოლმეურნე, შრომისუუნარო, პენსიონერი, იგი ეთვლება მომუშავედ, მინიმუმის შემსრულებლად და თვითეულ მათგანს ეძლევა 0,25 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი.

თუ კოლმეურნის ოჯახის წევრია სოფლად მომუშავე მასწავლებელი, ექიმი ან მუშაობს არჩევითს თანამდებობაზე, იგი ითვლება კოლმეურნედ და ეძლევა 0,25 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი.

მოხუც კოლმეურნეებს, ინვალიდებს, პენსიონერებს, რომლებსაც შრომა არ შეუძლიათ და მარჩენალი არა ყავთ მიეცემათ საკარმიდამო ნაკვეთი თავის სიცოცხლეში თვითეულ მათგანს 0,25 ჰექტარი.

საბჭოთა არმიაში წასულებს, სასწავლებლებში კოლმეურნეობიდან მივლინებულებს, ასევე არჩევით თანამდებობაზე მომუშავეებს ენახებათ თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთები დაბრუნებამდე.

ყოფილ კოლმეურნეებს — ამჟამად მუშებს, მოსამსახურეებს, მწერლებს, ექიმებს, ინჟინრებს და სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც ამჟამად არ ცხოვრობენ სოფლად. თუ ისინი მოისურვებენ ჰქოხდეთ მშობლიურ სოფელში საკარმიდამო ნაკვეთი, ხოლო კოლმეურნეობას საამისო ფონდი აქვს, მიეცეს 0,25 ჰექტარი თვითეულ ოჯახს.

კოლმეურნის ოჯახს ოთხი შვილის შემდეგ ყველა მომდევნო შვილის ყოლისათვის ნორმის ზევით მიეცეს თვითეულ შვილზე 0,15 ჰექტარი საკარმიდამო ფართობი (მხოლოდ ერთ ჰექტარამდე მშობლების კუთვნილი ხორმის ჩათვლით), შვილების სრულწლოვანად გახდომის შემდეგ კი დაეტოვოს ნორმა კოლმეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მიხედვით.

საჭიროდ ჩაითვალოს მუდმივი კომისიის გამოყოფა, რომელსაც დაევალება შიდასაკოლმეურნეო მიწათმოქმედება, საზოგადოებრივი მიწების დაცვა განიავებისაგან, საკარმიდამო ფართობებში შრომითი მონაწილეობის მიხედვით საჭირო ცვლილებების შეტანა, საკარმიდამო ფართობების გამოყოფა და სხვ. კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე. კომისიას ამტკიცებს წევრთა საერთო კრება. იგი აირჩევა ორი წლის ვადით და ვალდებულია წლის ბოლოს წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

რაც კოლმეურნეობას მიწა აქვს, საკარგულები ჰყოფნის როგორც საზოგადოებრივ მეურნეობაში, ისე საკარმიდამო ფონდისთვისაც, ამის შემდეგ წარმატება მთლიანად დამოკიდებულია კოლმეურნეთა ბატონთან შრომაზე, კოლმეურნეთა უფლება-მოვალეობის ზუსტად შესრულებაზე. არ უნდა მოხდეს არც ერთი შემთხვევა კოლმეურნეთა უფლების შეზღუდვისა, ამასთან კოლმეურნეს უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არ დაიკარგოს თავისი წმიდათა-წმიდა მოვალეობა და განუხრელად შეასრულოს ახალი წესდებით დაკისრებული მოვალეობა.

კოლმეურნეთა უფლებანი

1. კოლმეურნეობაში წევრად შესვლა შეუძლია ყველა მშრომელს, როგორც მამაკაცს ისე ქალს, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა.

2. კოლმეურნის ოჯახის წევრი, რომელსაც შეუსრულდება 16 წელი, თავისთავად ითვლება წევრად და განცხადების შეტანას არ საჭიროებს, ასევე იგულისხმება სხვა სოფლიდან ახალმოყვანილი, კოლმეურნის მეუღლე.

3. კოლმეურნეობის გამგეობა ყოველწლიურად ამოწმებს კოლმეურნეთა ოჯახებს და ისინი, ვისაც 16 წელი შეუსრულდება, შეაქვს კოლმეურნეთა სიაში, ასევე შეაქვს სიებში სხვა სოფლიდან ახალმოყვანილნი.

4. კოლმეურნეთა წევრობის უფლებას ინარჩუნებენ ის პირები, რომლებიც გაწვეული არიან საბჭოთა არმიის ნამდვილ სამსახურში, არჩეული არიან პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ ან სხვა სამუშაოზე. წევრობის უფლებას ინარჩუნებენ აგრეთვე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გამგეობის თანხმობით გარესამუშაოზე წასულნი, კოლმეურნეობის მიერ გაგზავნილი სტუდენტები და სხვადასხვა გადასამზადებელ კურსებზე გაგზავნილნი.

5. კოლმეურნეობის წევრობის უფლებას ინარჩუნებენ შრომისუნარს მოკლებული მოხუცები და ინვალიდები.

6. არტელის წევრთა შვილებისათვის სავალდებულოა საშუალო სპეციალური განათლების მიღება, რისთვისაც სოფლად ახალგაზრდობა უნდა სწავლობდეს და სიმწიფის მოწმობას იღებდეს ადგილობრივ სკოლებში. კოლმეურნეობა (სადაც საშუალებაა) საშუალო სკოლის დამთავრებამდე კოლმეურნეთა შვილებს თავის ხარჯზე აძლევს უსასყიდლოდ ყველა საჭირო სახელმძღვანელოს და უზრუნველყოფს საუზმით სკოლაში მეცადინეობის დროს.

7. არტელის წევრთა ოჯახების საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს გამგეობა გზავნის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების ჩასაბარებლად მათი სურვილის მიხედვით.

8. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით კოლმეურნეობიდან გაგზავნილ ახალგაზრდებს, რომლებიც ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებელში, სწავლის დამთავრებამდე სტიპენდიას აძლევს კოლმეურნეობა თავისი სახსრებიდან — კოლმეურნეობის შესაძლებლობის მიხედვით. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ისინი ბრუნდებიან თავიანთ კოლმეურნეობაში. მათ კოლმეურნეობა იყენებს სპეციალობის მიხედვით. თუ ამის საშუალება კოლმეურნეობას არა აქვს, ნებას აძლევს წავიდნენ სამუშაოდ სხვა კოლმეურნეობაში ან საწარმო-დაწესებულებაში.

9. საკარმიდამო მიწის მიცემის დროს, რომელსაც კოლმეურნეთათვის შემოსავლის დამატებითი წყაროს მნიშვნელობა აქვს, კოლმეურნეობის გამგეობა მხედველობაში იღებს კოლმეურნეთა ოჯახების შრომითს მონაწილეობას კოლმეურნეობაში.

10. საკარმიდამო ნაკვეთი კოლმეურნეს შეიძლება მიეცეს ერთ ან ორ ნაჭრად.

11. კოლმეურნეთა ოჯახებს უფლება აქვთ იყოლიონ იმდენი ძროხა და მისი ნამატი, ღორი და ფრინველი, რამდენიც მათ სურთ, რამდენის მოვლა-შენახვაც შეუძლიათ ისე, რომ იგი ხელს არ უშლიდეს საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობას, ნორმადღის მინიმუმის გამომუშავებას.

12. კვირადღე გამოცხადებულ იქნას დასვენების დღედ. გარდა კვირადღისა, კოლმეურნეს მიეცეს კვირაში ერთი დღე იმისათვის, რომ იმუშაოს და მოუაროს თავის საკარმიდამო ნაკვეთს.

13. კოლმეურნეს უფლება აქვს თავისი აუცილებელი ოჯახური საქმისათვის მოითხოვოს შვებულება. ბრიგადირს უფლება აქვს კოლმეურნეს მისცეს თვეში ორი დღის შვებულება.

14. გამგეობის თავმჯდომარეს უფლება აქვს კოლმეურნეს მისცეს თვეში 5 დღის შვებულება, ხოლო 5 დღეზე მეტი შვებულების ნებართვას გამგეობა აძლევს.

15. გამოიყოს კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 3-5 პროცენტი იმ ანგარიშით, რომ კოლმეურნეებმა უსასყიდლოდ ისარგებლონ ელექტროგანათებით, რადიოთი, წისქვილითა და ბანაოთი, ბავშვთა ბაგებითა და ბაღებით, საპარიკმახეროებითა და კინოთეატრებით. ნება მიეცეთ კოლმეურნეობებს შეიძინონ კინოდანადგარები და იჯარით მიიღონ კინოსურათები.

16. მოხუცობისას კოლმეურნეებს (მამაკაცებს 65 წლის ასაკში, ქალებს 60 წლის ასაკში) დაენიშნოთ პენსიები მოქმედი წესით, წარსული მუშაობის მიხედვით.

17. კოლმეურნეს, რომელიც რაიმე უბედური შემთხვევით დაშავდება კოლმეურნეობაში მუშაობის დროს, გამოჯანმრთელებამდე დაერიცხოს ნორმადღეები. ამ შემთხვევაში ანაზღაურება მიეცეს დაშავებამდე მისივე გამომუშავების 80 პროცენტის რაოდენობით.

18. კოლმეურნეობა ასევე ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში გამოუყოს კოლმეურნეებს თავიანთი პირუტყვისათვის საძოვრები და სათიბები.

19. კოლმეურნეობა ვალდებულია მისცეს გამწევი ძალა ან სხვა საჭირო ტრანსპორტი კოლმეურნეებს პირადი (აუცილებელი) საჭიროებისათვის უსასყიდლოდ, შესაძლებლობის ფარგლებში.

20. ისე როგორც ჩვენი კოლმეურნეობა აშენებს დასასვენებელ სახლს, აბაზანებს შავი ზღვის პირად 100 დამსვენებლისათვის, სადაც მორიგეობით უსასყიდლოდ დაისვენებენ კოლმეურნე ქალები, კაცები და მათი ბავშვები, საჭიროა ყველა კოლმეურნეობამ შეძლებისდაგვარად იზრუნოს კოლმეურნეთა ჯანმრთელობისათვის.

21. ჩაის ფოთლის კრეფის დროს კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეთათვის ჩაის პლანტაციებში გახსნის სასადილოებს, სადაც კოლმეურნე მკრეფავები უსასყიდლოდ მიიღებენ გემრიელ სადილს. საჭიროა ეს პრაქტიკა დაინერგოს ყველგან, სადაც საამისო საშუალებაა.

22. ფეხმძიმე ქალებს მშობიარობამდე მიეცეს სადეკრეტო შვებულება 2 თვე, მშობიარობის შემდეგ — 3 თვე შვებულებამდე გამომუშავებული ნორმადღეების 100 პროცენტის დარიცხვით. გაუდიდდეს გამომუშავებული ნორმადღეები დედებს 2 ბავშვისათვის 20 პროცენტით, 3 ბავშვისათვის — 30 პროცენტით, 4 ბავშვისათვის — 40 პროცენტით, 5 ბავშვისათვის — 50 პროცენტით, 6 ბავშვისათვის — 60 პროცენტით, 7 ბავშვისათვის და ზევით 80 პროცენტით.

23. კოლმეურნეობა კოლმეურნის თანხმობით გადაუხდის თავიანთი ნამუშევრის ანგარიშიდან სასოფლო-სამეურნეო, სადაზღვეო და სხვა სახელმწიფო გადასახადებს.

24. კოლმეურნეობა ყოველწლიურად გამოყოფს ფონდს, რომელსაც სესხად მისცემს კოლმეურნის ოჯახს ბინის მშენებლობისათვის. ამის შესახებ წევრთა საერთო კრება გამოიტანს დადგენილებას. ამასთან ბინის მშენებლობაზე კოლმეურნეობა დაეხმარება დურგლებით, კალატოზებით და სამშენებლო მასალებით.

25. ურთიერთდამხმარე სალარო სისტემატურად გასცემს სესხს კოლმეურნეებზე მათი საჭიროებისა და სალაროს შესაძლებლობის მიხედვით 100 მანეთიდან 300 მანეთამდე 1-2 წლის ვადით.

26. კოლმეურნეობის სამშობიარო სახლი გაუწევს უფასო მომსახურებას ყველა მშობიარე ქალს. ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტით კოლმეურნე ადგილობრივი აფთიაქიდან წამალს კოლმეურნეობის ანგარიშზე უსასყიდლოდ მიიღებს.

27. კოლმეურნეობა კეთილმოწყობილს გახდის სასოფლო გზებსა და ხიდებს.

28. კოლმეურნეობის ყველა წევრს უფლება აქვს:

ა) დროულად მიიღოს თავისი შრომის საზღაური;

ბ) ისარგებლოს კოლმეურნეობაში არსებული კულტ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით (კოლმეურნეობაში დადგენილი წესის შესაბამისად);

გ) აირჩიოს და არჩეულ იქნას კოლმეურნეობის მართვისა და კონტროლის ორგანოებში;

დ) მონაწილეობა მიიღოს ყველა საკითხის გადაწყვეტაში, საერთო კრებაზე, ბრიგადის კრებაზე და საწარმოო თათბირზე.

29. ქორწინების შემთხვევაში კოლმეურნე ქალსა და კაცს ეძლევა ფასიანი შვებულება 20 დღით.

30. თუ კოლმეურნეს არ დარჩა მარჩენალი, მოხუცდა და გარდაიცვალა, მისი დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს კოლმეურნეობა.

კოლმეურნის მოვალეობა

1. კოლმეურნეობაში შემსვლელი ვალდებულია წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების მიხედვით შეიტანოს ფულადი შესასვლელი-გამოსაღები 5-10 მანეთამდე თვითეულ კომლზე. ეს თანხა ჩაირიცხება კოლმეურნეობის განყოფილ ფონდში.

2. საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა კოლმეურნე ვალდებულია გამოცხადდეს კოლმეურნეობის გამგეობაში, წარადგინოს სიმწიფის მოწმობა და მოითხოვოს საგზური უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად. უმისოდ ისინი არ იქნან დაშვებული მისაღებ გამოცდებზე. გარდა უმაღლეს სასწავლებელში მივლინებული ახალგაზრდა სპეციალისტებისა, საშუალო სკოლადამთავრებულები ვალდებულნი არიან გამგეობის მითითებით მიემგზავრონ ბრიგადებს და დაიწყონ მუშაობა როგორც კოლმეურნეებმა. მათი მიღება სხვა სამუშაოზე კოლმეურნეობის გამგეობის უნებართვოდ ეკრძალება ყველა ორგანიზაციას.

3. კოლმეურნე ვალდებულია, გარდა კვირისა და მისთვის საკარმიდამოზე სამუშაოდ გამოყოფილი ერთი დღისა კვირაში, დარჩენილი 5 დღე იმუშაოს კოლმეურნეობაში, იგი ვალდებულია შეასრულოს ის სამუშაო, რასაც ბრიგადირი მიუთითებს. თუ კოლმეურნე უმიზეზოდ გაცდენს სამუშაო დღეს (მიზეზად მიიღება მხოლოდ ავადმყოფობა, რაც დასტურდება ექიმის მოწმობით, ან ძვებულება, მიცემული ბრიგადირის, თავმჯდომარის, ან გამგეობის მიერ), პირველ შემთხვევაში გაცდენილი ერთი დღისათვის ჩამოეწეროს გზმომუშავებული 2 ნორმადღე, რასაც ბრიგადირის წარდგენით სისრულეში მოიყვანს ბუხჰალტერია. სამუშაო დღის მეორეჯერ უმიზეზოდ გაცდენისათვის, ისევე ბრიგადირის წარდგენით, საკითხს განიხილავს გამცდენის თანდასწრებით გამგეობა თავის სხდომაზე. სასჯელის ზომად მიღებულ იქნას ჯარიმა 3-5 ნორმადღემდე.

4. იმისათვის, რომ წევრების სამუშაოზე გამოსვლა ყოველდღიურად აღირიცხებოდეს, შემოღებულ იქნას კოლმეურნეობაში სამუშაოზე კოლმეურნეთა ყოველდღიურად გამოცხადების ჟურნალი.

5. საღრიცხვო ჟურნალი უნდა აწარმოოს ბრიგადირმა და ყოველ 10 დღეში ერთხელ შესრულებული სამუშაოს უწყისთან ერთად თავისი ხელმოწერით წარუდგინოს ბუხჰალტერიას.

6. იმისათვის, რომ სწორად იქნან გამოვლინებული ისინი, ვინც არ შეასრულებს ნორმადღის მინიმუმს, კოლმეურნის ყველა უფლებითა და სიკეთით კი სარგებლობს და თავს არიდებს საზოგადოებრივ საქმეს, შემოღებულ იქნას საკოლმეურნეო საღრიცხვო ფორმა, რომელიც დაერთოს წლიურ ბალანსს. ამ ფორმაში შეტანილ იქნას ყველა ასეთი პირები და წარედგინოს რაისაბჭოს აღმასკომს.

7. მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის იმ შრომისუნარიან წევრებზე, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ, მიცემული აქვთ საკარმიდამო ნაკვეთები, ითვლებიან კოლმეურნეობის წევრებად, მინიმუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში წესდება კოლმეურნეთა თანაბრად ვრცელდება.

8. სწავლადამთავრებულები, საბჭოთა არმიიდან დაბრუნებულები, თუ არ შეუდგებიან კოლმეურნეობაში მუშაობას, მათზეც გავრცელდეს მოქმედი კანონი, როგორც შრომისათვის თავის ამრიდებლებზე. ამასთან თანახმად არსებული კანონისა, ისინი დაშვებულ არ იქნან სამუშაოდ არც ერთ საწარმო-დაწესებულებაში.

9. შრომისუნარიან კოლმეურნეთა სიებს კოლმეურნეობის გამგეობა ყოველწლიურად ადგენს იანვარში, დასამტკიცებლად წარუდგენს წევრთა საერთო კრებას. სიების შედგენის პერიოდში კოლმეურნეს უფლება აქვს, თუ მუშაობა არ შეუძლია, წარმოადგინოს მოწმობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

10. ჩვილბავშვიან ქალებს უფლება ეძლევა გამოცხადდნენ სამუშაოზე 2 საათის დაგვიანებით და წავიდნენ სამუშაოდან 2 საათით ადრე.

11. კოლმეურნე ვალდებულია სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი სესხი დაფაროს 10 წლის განმავლობაში. ამასთან მოიხმაროს იგი მხოლოდ ბინის მშენებლობაზე, და არა სხვა რამეზე.

12. კოლმეურნეს უფლება არა აქვს იყოლიოს ცოცხალი გამწევი ძალა, ჰქონდეს ურემი, ჰყავდეს მუშა ცხენები.

13. საკოლმეურნეო სოციალისტური საკუთრება, როგორც კოლმეურნეობის სიმდიდრისა და ძლიერების, კოლმეურნეობის შეძლებული და კულტურული ცხოვრების ძირითადი წყარო, დაცული უნდა იყოს ყოველი ხელყოფისაგან. ამ შემთხვევაში ყველაზე საშიშ ძვლენას შეადგენს კოლმეურნის მიერ საკოლმეურნეო მოსავლის მიტაცება. მიტაცების შემთხვევაში მიმტაცებელი კახონით ისჯება. აქ მნიშვნელობა არა აქვს მიტაცებული პროდუქციის რაოდენობას.

14. შრომისუნარიანი კოლმეურნე, რომელიც შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს არ შეასრულებს საპატიო მიზეზის უქონლად, გაირიცხოს კოლმეურნეობიდან, ჩამრეჭრას კუთვნილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. კოლმეურნეობიდან გარიცხული შრომის დეზერტირის ცხოვრება და ყოფნა სოფელში ზარალის მეტს არაფერს მოუტანს საზოგადოებრივ მეურნეობას და კოლმეურნე მოსახლეობას. იგი რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით გასახლებულ უნდა იქნას სოფლიდან 3-5 წლის ვადით, გამოყენებულ იქნას იძულებით სამუშაოზე.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება საკოლმეურნეო წესდებაზე. იმედია ჩვენი თანამოსაქმენი ფართოდ გახილავენ ამ წინადადებებს და ბევრსაც დაუმატებენ, შეასწორებენ.

საერთაშორისო ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 იანვარი, 1966 წ.

ლუიჯი ლონგოს მოხსენება

იტალიის კომპარტიის XI ყრილობაზე

რომი, 25 იანვარი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე მოხსენება „მშვიდობისათვის, სოციალიზმისაკენ იტალიური გზით წინსვლისათვის, ახალი დემოკრატიული უმრავლესობისათვის, შუშათა- და სოციალისტური ძალების ერთობისათვის“ გააკეთა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობა ხასიათდებოდა განსაკუთრებით სერიოზულ საერთაშორისო ვითარებაში. იტალიის კომუნისტური პარტიის წინა ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში მდგომარეობა მსოფლიოში საშიშრად გამწვავდა.

მეფილ დარბაზის ტაში გაბიაღშა ლ. ლონგომ სოლიდარობა გამოუცხადა ვიეტნამის თავისუფლებისათვის მებრძოლებს. მამაც სამხრეთვიეტნამელ პარტიზანებს. ჩვენ პატივს მივაგებთ და მადლობას ვუძღვნით, ხაზგასმით აღნიშნა მან, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების სხვა კომუნისტური და შუშათა პარტიების წევრებს, რომლებიც ულარგძელ დახმარებას უწევენ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უმაღლესი იდეალების სულისკვეთებით.

ორატორი ამასთან დაკავშირებით შეეხო მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის დამოკიდებულებას იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკისადმი და განაცხადა: „სოციალისტური ქვეყნებისა და საერთაშორისო შუშათა მოძრაობის დახმარებასა და სოლიდარობას ვიეტნამელი ხალხისადმი უფრო მეტი ეფექტიანობა ექნებოდა, რომ იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ სოციალისტური ქვეყნების ერთიანი პოზიციის შესახებ წინადადებანი გაეზიარებინათ ჩინელ ამხანაგებს და რომ დადებითი შედეგები მოპყოლოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა პარტიების არაერთგზის წინადადებებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქმედების ერთიანობის განხორციელების შესახებ“.

შეეხო რა იტალიის მთავრობის საგარეო პოლიტიკის პრობლემებს, ლუიჯი ლონგომ აღნიშნა, რომ ქვეყნის ინტერესები მოითხოვს საგარეო პოლიტიკის ახალ ორიენტაციას. ეს ინტერესები მოითხოვს; რომ იტალია არ მონაწილეობდეს ატომურ შეიარაღებაში, მოითხოვს ბრძოლას იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთ გერმანიამ ხელი იგდოს ატომური იარაღი.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა, რომ საჭიროა შემობრუნება იტალიის საშინაო პოლიტიკაში და უწინარეს ყოვლისა ეკონომიურ პოლიტიკაში.

მრავალნაირად დაწვრილებით შეეხო პარტიის შინაგანი ცხოვრების პრობლემებს. წინა საყრილობო კონფერენციებსა და კრებებში მონაწილეობა მიიღო 500 ათასმა კომუნისტმა. ამ ყრილობიდან, თქვა ლუიჯი ლონგომ, ჩვენი პარტია უნდა გამოვიდეს კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო ერთიანი, კიდევ უფრო უნარიანი, რომ საბრძოლველად რაზმავდეს მშრომელთა მასებს.

ვიხსნათ პატრიოტები

რომი, 26 იანვარი. (საკდესი). სალაზარის ფაშისტური მთავრობის სამხედრო ტრიბუნალები ემზადებიან სიკვდილი მიუსაჯონ პორტუგალიის არმიის სამ უნტერ-ოფიცერს, რომელსაც ბრალად ედებათ ის, რომ ისინი ეხმარებოდნენ „პორტუგალიის“ გვიანისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის ფრიკული პარტიის წევრ პატრიოტებს, — წერს გაზეთი „უნიტა“ ლისაბონიდან. მიღებულ კორესპონდენციაში:

გაზეთი აღნიშნავს, რომ პორტუგალიელი ინვალიდტორები ფიზიკურად სჯობენ მოწინააღმდეგეებს, შემდეგ კი ამას აბრალებენ „თვალმაკვლელობას“ ან იმას, თითქოს პატიმარ ამხანაგებს ეცემოთ იხინი.

„უნიტა“ შემდეგ წერს: პორტუგალიელ ფაშისტების მიერ გამოყენებული მეთოდების ანატომია. იყო გენერალ დილგადოს ინსტალიელ კომუნისტთა გაზეთი მხარს უჭერს პორტუგალიის ეროვნული განთავისუფლების პატრიოტული ფრონტის მოწოდებას ბრძოლა ანტიფაშისტისადმი, კოლონიალიზმისადმი, მებრძოლებისადმი, ყველა დემოკრატისადმი დაუყოვნებლივ გამოუცხადონ ამნისტია პორტუგალიელ პატრიოტებს, რომლებიც ინვალიდტორთა კლანჭებში ჩავარდნენ, და ამით იხსნან სიკვდილისაგან.

ალდო მორო განცხადება

რომი, 25 იანვარი. (საკდესი). იტალიის პრეზიდენტმა სარგეტმა დაავალა ალდო მოროს შემქმნა ახალი მთავრობა. ითქმა განაცხადა, რომ კისრულობს ამ ამოცანის დაჯერმა მისი ამოცანაა გამოარკვიოს, „არის თუ არა ცოცხალ კონკრეტული პროგრამები ბაზა და საერთო პროგრამა, რომ მთავრობა შეიქმნას მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის ოთხი პარტიის წარმომადგენელთაგან“.

ნყაღდიდობა თურქეთში

ლონდონი, 26 იანვარი. (საკდესი). ინფორმაციის ინფორმაციის ინფორმაციის



შეამოწმეთ, ვინ რა მოიგო

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1966 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟისა. მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1966 წლის 25 იანვარს ქ. თბილისში

ტირაჟში გათამაშდა 258 ნივთმოგება და 154.742 ფულადი მოგება 279.000 მანეთის თანხისა. მოგება ხვდა 1966 წლის პირველი გამოშვების ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
00006	286 *)	მაცივარი	200 — 00
00010	487 *)	500 მანეთი	—
00034	359 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
00039	463 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00044	427 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
00058	037 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
00067	267 *)	მაცივარი	200 — 00
00069	253 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
00073	319 *)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"	2220 — 00
00074	500 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00085	116 *)	რადიოლა	143 — 75
00095	317 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
00104	117 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
00124	308 *)	რადიოლა	143 — 75
00139	139 *)	მაცივარი	200 — 00
00150	364 *)	25 მანეთი	—
00153	019 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	4511 — 25
00154	431 *)	მაცივარი	200 — 00
00179	225 *)	პიანინო	526 — 50
00185	492 *)	200 მანეთი	—
00191	268 *)	პიანინო	526 — 50
00208	308 *)	მაცივარი	200 — 00
00220	269 *)	რადიოლა	143 — 75
00223	064 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
00226	170 *)	მაცივარი	200 — 00
00230	1 — 500	15 მანეთი	—
00231	493 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00242	394 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00248	297 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
00277	278 *)	რადიოლა	143 — 75
00283	410 *)	პიანინო	526 — 50
00284	092 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00290	025 *)	100 მანეთი	—
00306	082 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00308	121 *)	მაცივარი	200 — 00
00313	274 *)	25 მანეთი	—
00317	488 *)	პიანინო	526 — 50
00325	037 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00367	019 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00371	399 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
00382	079 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
00383	431 *)	300 მანეთი	—
00432	121 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00461	180 *)	რადიოლა	143 — 75
00474	115 *)	რადიოლა	143 — 75
00475	248 *)	100 მანეთი	—
00492	178 *)	მაცივარი	200 — 00
00505	304 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
00514	325 *)	მაცივარი	200 — 00
00515	147 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურო ტურისტული მატარებლით „საქართველო"	150 — 00
00517	311 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
00523	344 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00527	152 *)	რადიოლა	143 — 75
00541	359 *)	100 მანეთი	—
00543	427 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00563	192 *)	პიანინო	526 — 50
00574	232 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
00576	336 *)	მაცივარი	200 — 00
00580	301 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00582	496 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00592	041 *)	25 მანეთი	—
00604	393 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
00609	285 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00624	454 *)	მაცივარი	200 — 00
00634	066 *)	რადიოლა	143 — 75
00641	350 *)	რადიოლა	143 — 75
00642	016 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00657	315 *)	მაცივარი	200 — 00
00658	266 *)	25 მანეთი	—
00662	395 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00682	119 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
00692	410 *)	300 მანეთი	—
00711	412 *)	მაცივარი	200 — 00
00715	037 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
00717	244 *)	25 მანეთი	—
00724	496 *)	25 მანეთი	—
00731	229 *)	რადიოლა	143 — 75
00741	094 *)	რადიოლა	143 — 75
00749	395 *)	50 მანეთი	—
00751	313 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00766	291 *)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"	2220 — 00
00772	129 *)	რადიოლა	143 — 75
00775	332 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
00798	013 *)	რადიოლა	143 — 75
00800	062 *)	რადიოლა	143 — 75
00803	405 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
00804	330 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
00806	153 *)	პიანინო	526 — 50
00814	380 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
00826	392 *)	25 მანეთი	—
00833	418 *)	მაცივარი	200 — 00
00844	147 *)	200 მანეთი	—
00849	123 *)	რადიოლა	143 — 75
00881	216 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00889	309 *)	რადიოლა	143 — 75
00890	412 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
00895	064 *)	25 მანეთი	—
00952	027 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
01002	275 *)	50 მანეთი	—
01004	249 *)	300 მანეთი	—
01033	292 *)	რადიოლა	143 — 75
01054	081 *)	პიანინო	526 — 50
01069	108 *)	პიანინო	526 — 50
01077	250 *)	ავტომანქანა „ვოლგა"	5602 — 00
01092	060 *)	რადიოლა	143 — 75
01108	333 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
01109	016 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
01128	100 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
01133	142 *)	რადიოლა	143 — 75
01143	030 *)	მაცივარი	200 — 00
01165	625 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01166	475 *)	რადიოლა	143 — 75
01178	228 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
01188	395 *)	რადიოლა	143 — 75
01202	245 *)	მაცივარი	200 — 00
01208	241 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01215	055 *)	პიანინო	526 — 50
01216	011 *)	პიანინო	526 — 50
01226	178 *)	რადიოლა	143 — 75
01234	068	50 მანეთი	—
01243	325 *)	მაცივარი	200 — 00
01258	197 *)	პიანინო	526 — 50
01260	467 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01264	394 *)	პიანინო	526 — 50
01265	422 *)	პიანინო	526 — 50
01287	303 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
01297	305 *)	25 მანეთი	—
01308	323 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურო ტურისტული მატარებლით „საქართველო"	150 — 00
01320	300 *)	მაცივარი	200 — 00
01326	142 *)	მაცივარი	200 — 00
01349	146 *)	50 მანეთი	—
01353	396 *)	პიანინო	526 — 50
01356	010 *)	პიანინო	526 — 50
01366	287 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
01372	122 *)	პიანინო	526 — 50
01379	480 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01388	105 *)	მაცივარი	200 — 00
01389	387 *)	პიანინო	526 — 50
01399	382 *)	პიანინო	526 — 50
01400	276 *)	პიანინო	526 — 50
01401	486 *)	პიანინო	526 — 50
01434	063 *)	მაცივარი	200 — 00
01438	407 *)	25 მანეთი	—
01440	127 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01441	259 *)	მაცივარი	200 — 00
01450	500 *)	რადიოლა	143 — 75
01464	445 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01471	157 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
01473	118 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01480	1—500	10 მანეთი	—
01495	239 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01496	1—500	15 მანეთი	—
01497	166 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
01506	111 *)	25 მანეთი	—
01517	325 *)	რადიოლა	143 — 75
01532	127 *)	რადიოლა	143 — 75
01536	100 *)	მაცივარი	200 — 00
01551	408 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
01552	308 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01557	095 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01560	051 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
01602	175 *)	მაცივარი	200 — 00
01616	100 *)	პიანინო	526 — 50
01622	064 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01644	401 *)	50 მანეთი	—
01656	133 *)	ავტომანქანა „ვოლგა"	5602 — 00
01664	007 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
01676	028 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
01677	063 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
01684	412 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
01687	357 *)	მაცივარი	200 — 00
01693	257 *)	მაცივარი	200 — 00
01700	292 *)	25 მანეთი	—
01701	395 *)	პიანინო	526 — 50
01707	038 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
01708	051 *)	პიანინო	526 — 50
01722	001 *)	პიანინო	526 — 50
01733	268 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
01734	254 *)	რადიოლა	143 — 75
01753	171 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
01766	429 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	4511 — 25
01767	448 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
01770	421 *)	200 მანეთი	—
01777	185 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
01792	426 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
01819	475 *)	პიანინო	526 — 50
01839	068 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	4511 — 25
01866	280 *)	რადიოლა	143 — 75
01869	187 *)	25 მანეთი	—
01875	108 *)	50 მანეთი	—
01876	051 *)	მაცივარი	200 — 00
01877	441 *)	რადიოლა	143 — 75
01897	494 *)	რადიოლა	143 — 75
01895	062 *)	პიანინო	526 — 50
01899	462 *)	რადიოლა	143 — 75
01913	022 *)	პიანინო	526 — 50
01914	070 *)	მაცივარი	200 — 00
01929	269 *)	25 მანეთი	—
01956	448 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
01969	485 *)	200 მანეთი	—
01973	201 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	4511 — 25
01989	422 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02002	424 *)	რადიოლა	143 — 75
02004	126 *)	მაცივარი	200 — 00
02028	447 *)	რადიოლა	143 — 75
02034	471 *)	რადიოლა	143 — 75
02036	040 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02037	034 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02039	348 *)	მაცივარი	200 — 00
02042	066 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02052	117 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02069	119 *)	მაცივარი	200 — 00
02072	118 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02073	093 *)	რადიოლა	143 — 75
02090	208 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02097	276 *)	500 მანეთი	—
02098	405 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02104	398 *)	პიანინო	526 — 50
02109	481 *)	რადიოლა	143 — 75
02110	140 *)	მაცივარი	200 — 00
02155	393 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	4511 — 25
02178	306 *)	რადიოლა	143 — 75
02207	275 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02220	412 *)	მაცივარი	200 — 00
02229	478 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02230	312 *)	რადიოლა	143 — 75
02235	022 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02250	383 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
02256	369 *)	500 მანეთი	—
02302	252 *)	რადიოლა	143 — 75
02306	172 *)	100 მანეთი	—
02337	307 *)	მაცივარი	200 — 00
02338	375 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02339	1—500	10 მანეთი	—
02351	222 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურო ტურისტული მატარებლით „საქართველო"	150 — 00
02352	380 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02355	033 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02357	197 *)	50 მანეთი	—
02377	041 *)	500 მანეთი	—
02380	397 *)	რადიოლა	143 — 75
02384	115 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	4511 — 25
02392	161 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02393	280 *)	მაცივარი	200 — 00
02400	095 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02410	307 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02411	169 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	4511 — 25
02434	482 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
02445	348 *)	რადიოლა	143 — 75
02462	442 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02468	092 *)	200 მანეთი	—
02473	284 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02495	414 *)	25 მანეთი	—
02507	293 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02517	210 *)	სხვითი ხელოვნების ნაწარმოებები	56 — 20
02519	192 *)	მაცივარი	200 — 00
02524	306 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურო ტურისტული მატარებლით „საქართველო"	150 — 00
02533	473 *)	1000 მანეთი	—
02557	336 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02560	258 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
02569	118 *)	100 მანეთი	—
02578	263 *)	რადიოლა	143 — 75
02583	343 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
02592	441 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02605	175 *)	მაცივარი	200 — 00
02606	324 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
02607	050 *)	პიანინო	526 — 50
02608	327 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02611	423 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02613	429 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02625	287 *)	მაცივარი	200 — 00
02627	075 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02645	108 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02649	303 *)	50 მანეთი	—
02662	024 *)	ფოტოაპარატი „ზორკი"	35 — 00
02663	298 *)	რადიოლა	143 — 75
02668	297 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02680	240 *)	25 მანეთი	—
02713	333 *)	25 მანეთი	—
02720	344 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02723	354 *)	პიანინო	526 — 50
02724	105*)	25 მანეთი	—
02727	244 *)	რადიოლა	143 — 75
02747	159 *)	პიანინო	526 — 50
02757	424 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02760	309 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურო ტურისტული მატარებლით „საქართველო"	150 — 00
02786	303 *)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"	2220 — 00
02787	217 *)	რადიოლა	143 — 75
02790	239 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02826	318 *)	რადიოლა	143 — 75
02851	409 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02858	010 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	4511 — 25
02891	174 *)	პიანინო	526 — 50
02904	328 *)	მაცივარი	200 — 00
02910	280 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50
02915	381 *)	300 მანეთი	—
02931	463 *)	რადიოლა	143 — 75
02938	087 *)	პიანინო	526 — 50
02943	270 *)	პიანინო	526 — 50
02946	259 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
02951	149 *)	25 მანეთი	—
02969	046 *)	რადიოლა	143 — 75
02989	246 *)	პიანინო	526 — 50
02998	173 *)	რადიოლა	143 — 75
03009	340 *)	რადიოლა	143 — 75
03017	028 *)	300 მანეთი	—
03022	186 *)	რადიოლა	143 — 75
03059	480 *)	ტელევიზორი „რეკორდი"	210 — 00
03071	337 *)	მაცივარი	200 — 00
03085	353 *)	25 მანეთი	—
03086	305 *)	ელექტრომამრთებელი	22 — 50

შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დაწარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თვითეულს.

თუ სვეტში „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1—500, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის მოცემული სერიის ბილეთების ხუთასსავე ნომერს.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთის მოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთების ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მომდებთა სურვილისამებრ 50 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულების მოგებული ნივთის ნაცვლად აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს სსრ ყველა შემნახველი სალაროო. 50 მანეთს ზევით მოგებათა თანხებს გასცემენ ცენტრალური შემნახველი სალაროები და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში. მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების შეშვებით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს. ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელს და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. დიდგაბარიტიან საგზებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

მაცივრების მისაღებად საჭიროა, გარდა ამისა, ნაჩვენები იყოს ლატარიის ბილეთის მფლობელის საცხოვრებელ ადგილში ელექტროქსელის ძაბვა, ე. ი. 127 ვოლტი თუ 220 ვოლტი.

3. მოგებული ნივთების გაცემას მაღაზიები აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეიძლება წარმოდგენილ იქნას გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1967 წლის 30 ივნისამდე ჩათვლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავენ და გასანაღდებლად აღარ მიიღებიან. ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით წარმოებს ფულადი მოგებისა და მოგებული ნივთების გაცემა.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიების ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება და ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის კალინინის სახელობის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოს და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები აგრეთვე მიიღებენ ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა, მოგებული ნივთების გამოსათხოვად.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება რესპუბლიკის ყველა დიდ ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროში.

კომისიის თავმჯდომარე
მშრომელთა დეპუტატების თბილისის ოქტომბრის რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — **კ. აბაშმაძე.**

თავმჯდომარის მოადგილე
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი — **ქ. გოგოლაშვილი.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველოს უფროსი ეკონომისტი — **მ. ჯანგიძე.**

იანვრის უსიამოვნება

ბინდ ობილისს „დინამოს" სტადიონის დანარჩენ 45 ათას მაყურებელთან ერთად თვალს ადევნებდა კიევი „დინამოს" საბალსუფთ მატჩს ლეანდრეს „სელტიკთან". მას არ შეეძლო არ გაეხსენებინა კიეველთა სულ ცოტა ხნის წინანდელი მატჩები, ისეთები, როგორიც იყო, ვთქვათ, შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსთან", და არ შეეძლო არ დაეფიქრებინა კითხვა, სადღაა ის ბრწყინვალება, აღფრთოვანება, საზრიანობა, რომლითაც კიეველები რამდენიმე თვის წინათ განირჩოდნენ?

მიუხედავად იმისა, რომ „სელტიკის" მენეჯერმა ბატონმა ჯონ სტეინმა თავი მოიერიშე ფეხბურთის შობრივ გამოაცხადა, მან თბილისში ჩამოიყვანა მაკნილი. შოტლანდიის ერთ-ერთი საუკეთესო სტოპერი. მაკნილმა კიდევაც შეასრულა თავისებური მწვრთნელის როლი. მოკლედ რომ ვთქვათ, „სელტიკის" მთელი შემტევი ტენდენციები სპორადიული კონტრიერიშებით გამოიხატებოდა, რასაც იყენებდნენ უმთავრესად გარემარბები პიუჯი, რომელმაც საკმაოდ ბევრი სამუშაო გაუწია შჩეგოლკოვს, და ჯონსტონი, რომელსაც საერთოდ კარგად გაუმკლავდა ახალგაზრდა ლევჩენკო.

მაყურებლებით გაჭედილ „დინამოს" სტადიონს და იტალიელ მსაჯთა ბრიგადას (სბარდელა, ვარაცანი და ჯუმელი) გუნდები შემდეგი შემადგენლობით წარმოუდგენენ: „დინამო" — ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ტურიანჩიკი, ლევჩენკო, საბო, მედვედი, ბაზილევიჩი. სერებრიანიკოვი, ბიბა, ფლენინიცკი. „სელტიკი" — სიმპსონი, კრეიგი, ჯუმელი, მაკნილი, კაშლი, კლარკი, ჯონსტონი, შერდოკი, მაკბრაიდი, ჩალმერსი, პიუჯი.

თამაშის ტემპი და ხასიათი დინამოელებმა განსაზღვრეს. პირველ თუთმეტ წუთს შოტლანდიელებმა სცადეს ეთამაშნათ როგორც თანასწორებს, და ამ პერიოდში ორჯერ დაარტყეს კარში. მაგრამ მაკბრაიდი მიერ დარტყმულმა საჯარიმომ საშიშად ახლოს ჩაუარა ძელს, ხოლო პიუჯის მიერ დაბალ კუთხეში დარტყმული ბურთი ბანიკოვმა კუთხურზე მოიგერია.

მე-20 წუთზე დინამოელთა იერიშები, რომლებსაც ისინი თავიანთი ჩვეული მანერით აწარმოებდნენ — მრავალი გადაცემითა და ბურთისსადმი ხანგრძლივი კონტროლით, წარმატებით დაგვირგვინდა: მარჯვენა ფლანგიდან ბაზილევიჩის გადაცემა სერებრიანიკოვმა მიიღო, თავით გადაუგდო ბურთი უკან საბოს, რომელმაც შეუჩერებლივ გაარტანა იგი ქვემო კუთხეში.

ამ გოლის შემდეგ კიეველებს თითქოს ძალა შეემატათ, და მათს თამაშში სექტემბრის ნიშნებმა იწყო გამოკრთომა, რამდენჯერმე ვნახეთ ლამაზი კომბინაცია ბიბა-საბო-ბიბა. სამი ბურთის გატანის პრობლემა მიუღწეველი ალარ ჩანდა. სამწუხაროდ, 11 წუთის შემდეგ ეს პრობლემა გაქრა. ერთ-ერთი კონტრიერიშის დროს პიუჯი კუთხის ალმისაკენ გაიჭრა, შეანელა წინსვლა, დაიწყო ერთი ადგილის ტკეპნა, მისკენ დაიძრნენ კიეველი მცველები და გამოეპარათო, რომ ცენტრში გადიოდა მცველი ჯემელი. პიუჯმა მას გადაუგდო ბურთი, და ჯუმელმა ასლო მანძილიდან აუცდენლად დაარტყა კარში — 1 : 1.

კიეველებმა ახალი იერიშების სერიით უპასუხეს. ორჯერ ისინი მიზანთან ახლოს იყვნენ, და ორივეჯერ საბოს მიერ ბურთის გადაწოდების შემდეგ ერთხელ მედვიდს, მეორედ კი სერებრიანიკოვს შეეძლოთ თავით გაეტანათ ბურთი, მაგრამ ორივეჯერ ააცილეს.

მეორე ნახევარში თამაშის ხასიათი რამდენადმე შეიცვალა. ორივე გუნდი შორ გადაცემებზე გადავიდა. შოტლანდიელების ცდილობენ შეანელონ ტემპი. ისინი ბურთს აჩერებენ, ზოგჯერ კი უფრო მკვეთრ თამაშს მიმართავენ, ვიდრე წესია არის დაშვებული. კიეველები ვალში არ რჩებიან. ატმოსფერო მუვადგება. კრეიგი უხეშად მოქცევა ხმელნიცკის, ამ უკანასკნელმაც სათანადოდ უპასუხა, და 68 წუთზე სბარდელამ ორივე გააძევა მოედნიდან. ამან რამდენადმე დააცხრო ვნებათაღელვა.

უპირატესობა კვლავ კიეველთა მხარეზეა. ბურთის გატანის შესანიშნავი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა სერებრიანიკოვმა, რომელიც ორ მცველს შუა ჯაიჭრა და ბორისპირ ალმორნდა სიმესსონთან. მაგრამ შოტლანდიელმა მეკარემ ჩინებული ნახტომით მოიგერია ბურთი. კიეველებმა რამდენჯერმე დაარტყეს კუთხური, შოტლანდიელთა კარისკენ გაიჭრნენ ლევჩენკო, მედვიდი, ტურიანჩიკიც კი, კარში დაარტყა ბაზილევიჩმა, მაგრამ ანგარში უცვლელი დარჩა. თამაში ფრად დამთავრდა, რაც კიეველთა დამარცხებას ნიშნავდა.

კიეველებმა წაადგეს. გულდასაწყვეტია, მაგრამ ეფროპის შეჯიბრებაში მონაწილეობა შესანიშნავი სკოლაა ჩვენი ფეხბურთელებისათვის. თუ წყალში არ გადახტი, ცურვას ვერ ისწავლი.

ა. ვიტი,
მ. მერეშანოვი.



მატჩის შემდეგ

როგორც წესი, მატჩის შემდეგ ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები და ჟურნალისტები თავს იყრიან გასასდელებში, მსაჯთა ოთახში, დარბაზში — მიმდინარეობს შეხვედრის ოქმის გაფორმება, სხა-ბაასი განვლილი მატჩის შესახებ, მსჯელობა ბრძოლის ეპიზოდებზე, ინტერვიუს აღება.

და აი ასპარეზობის დამთავრების შემდეგ „კომუნისტის" კორესპონდენტი ეწვია გუნდების მეგზურებს — კიევის „დინამოსა" და ლეანდრეს „სელტიკის" ფეხბურთელთა გუნდების ხელმძღვანელებს და სთხოვა მათ ჩამოთვლილ ეზრი განვლილი მატჩის შესახებ.

აი რ